

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

მზოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 8

1883—1901

15—30 აპრილი.

მწარამ უძიარები.

ერთის მხრივ ბედნიერი ხარ კაცი, როცა ქურნალ-გაზეთებით ტყობილობ ყველაფერს, რაც კი ხდება ქვეყანაზე და როგორ მიმდინარეობს კაცობრიობის ცხოვრება მთელს დედა-მიწაზე. რაღა იმაზედ მეტი სასიამოვნო, როცა შენ დაწვრილებით ტყობილობ გუშინდელ მომხდარ ამბავს ტელეგრაფის საშუალებით, მაგალითებ რაც ხდება ამერიკაში, ავსტრალიაში, აფრიკაში და ევროპაში. გაზეთების საშუალებით შენთვის არაფერი არ არის დაფარული და გაუგებელი, თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოებში დიდი ყურადღება არის მიქცეული იმაზე, რომ ზალხს არ შეატყობინონ ყველაფერი დანამდვილებით... მაგრამ მეორეს მხრივ იქამდის შეგაწუხებს

ზოგიერთი შემთხვევის გაგება, იქნობამდისინ შეგაწუხებს ზოგიერთების უკანონო, უაჯაო და უმართლო მოქმედება, აქა-იქ დედა-მიწაზე მომხდარი ძალ-მომრეობა, თავვასულობა, გაუტანლობა, მჩაგვრელობა და სიმართლის ფეხით გათეღვა, რომ ხშირად იტყვი: ნეტავი სრულებით კითხვაც არ მესწავლა და ისეთი უვიცი ვყოფილიყავი, როგორც ზოგიერთი გლეხი და უბრალო მუშაა. არაფერი არ გეცოდინებოდა და ისე დაწყნარებულად იცხოვრებდი, როგორც ეს საწყალი გლეხი მუშა. ამ უსიამოანებას კაცი, რასაკვირველია, უფრო მეტად გრძნობს მაშინ, როცა შენ თვალთ-მხილველი ანუ შემტყობი ხარ ყველა ამ სამწუხარო მოვლენათა, და დახმარება, ქომაგობა კი არავისი არ შეგიძლია. დიად, ძლიერ უბედურია ის კაცი, რომელიც ყველაფერს ტყობილობს, მაგრამ არც დახმა-


რება, არც ქომავობა, არც გასწორება და არც სწავლება არ შეუძლია...

ხედავ საზოგადოებას, რომელიც ვითომც წინ მიდის, მაგრამ კარგად რომ დააკვირდები, წინ კი არა, უკან მიდის. რამდენსაც წინ გაივლის, ორი იმდენს უკან ბრუნდება და ამისთვის საზოგადოდ წინმსვლელობა აღარა სჩანს. ერთი რომ კარგს და სასარგებლო რჩევას იძლევა, ოცი და ოც-და-ათი უკუღმართობას ქადაგებს, სამწუხაროდ, ასეთ პირთა უმეტესობას კიდევ გააქვს საქმე. სანამ ხალხი შესამჩნევად არ დაიტანჯება, შესამჩნევად არ შესწუხდება, მანობამდისინ ხმას არ ამოიღებს და საქმის გასწორებას არ მოიფიქრებს. ოცი და ოც-და-ათი წლის შემდეგ დაიწყებს შრომას საქმის გასასწორებლად, მაგრამ ყველაზე საუმჯობესო აზრებს, რჩევებს, სასარგებლო და სწორ გზას არც მაშინ აღირჩევს. უმეტესობა, გატაცებული სხვა-ხა-სხვა ახირებულ მიმართულებათაგან, საქმეს აყენებს ბრუნდეთ, არჩევს ბრუნდეთ გზას და ცხოვრებაც ისე ბრუნდეთ იწყებს მსვლელობას...

ყველა ეს სამწუხარო მოვლენანი, ყველა ეს სამწუხარო შეცთომანი და კაცობრიობის წინმსვლელობის შემაფერხებელი მოქმედებანი ყოვლის უმეტესად შესამჩნევია მთელს ქვეყანაზე მოზარდი, ახალ-გაზდა თაობის აღზრდა-სწავლის საქმეში. აიღეთ, რომელიც გნებავს, საერო თუ სასულიერო წოდება, არც ერთ მათში არ არის მოგვარებული მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმე ისე, რომ სთქვას კაცმა, ამაზე უკეთესი სხვა არ არისო... გამოცხადდება ერთნაირი წეს-წყობილება და მიითვლება უპირველეს სასარგებლო წეს-წყობილებად. მაგრამ იცოდეთ, რომ ყველა ეს კარგი იქნება მანობამდისინ, სანამდისაც ცოცხალი იქნება მრჩეველი, გამომგონი და გამახორციელებელი ამა თუ იმ სწავლა-მეცნიერების და აღზრდის დარგისა. მის გარდაცვალების შემდეგ ყოველივე მოიშლება და სხვა გზას დაადგება. აიღეთ ყველა ჩვენი მაღალი, საშუალო და დაბალი სასწავლებლების მდგომარეობა. აიღეთ სახალხო და სამრევლო სკოლების მდგომარეობაც, თუ გინდათ. განა სასურველ მდგომარეობაში არიან? განა აკმაყოფილებენ იგინი ხალხის მოთხოვნილებას, ხალხის სურვილს? განა არ თხოულობენ იგინი თავიანთ მდგომარეობის გასწორებას და ყველა მათ წეს-

წყობილებათა გარდახედვას? მოისმინეთ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის რესკრიპტი სახალხო განათლების მინისტრის სახელობაზე. რას ამბობს ეს რესკრიპტი? რესკრიპტში ნაბრძანებია, რომ საჭიროა მთლად ძირითადად გარდაკეთდეს და შეიცვალოს სწავლა-აღზრდის საქმეო და დადგინდეს იგი ისე, როგორც სასიამოვნო და სასარგებლოდ იქნება მშობლებისა და საზოგადოებისათვისო. დიახ, მეტის-მეტად საგულისხმო სიტყვებია... მერე რა უშლიდა დღემდე ამ საქმეს ხელს და ან დღეს რა უშლის, რომ საქმე უმჯობესად მოეგვაროს და ახალ გაზრდა ნასწავლნი სასწავლებლებიდან გამოდიოდნენ სადიდებლად ღვთისა, მშობელთა სანუგეშოდ და მამულისათვის სასარგებლოდ?.. ხელის შემშლელი მიზეზნი მრავალნი არიან. პირველ დამაბრკოლებელ მიზეზად სწავლა-აღზრდის საქმეში ჩვენ მიგვაჩნია ის, რომ პედაგოგის საქმეში შეურთავენ პოლიტიკობასაც და რაც გნებავს კიდევ სხვასაც. პედაგოგის საქმე ისეთია, რომ პოლიტიკობას მასთან არავითარი კავშირი არა აქვს. გაურით წყალში ერთი წვეთი ნავთი, თუ მთლად არ გააფუჭოს მშვენიერი წყალი. აიღეთ რომელი გინდათ საქმე და დააკვირდით მის შემაფერხებელ მიზეზებს... ყველანი ვსწუხვართ და ვუჩივით სარწმუნოების და კეთილ-ზნეობის დასუსტებას და დამდაბლებას ხალხში და რა არის მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენათა? ის, რომ სარწმუნოებას, ზნეობას და პოლიტიკას ერთად აწეებენ. სამწუხაროდ სარწმუნოების და ქრისტიანული კეთილ-ზნეობის საქმეთა შორის პირველ ადგილს ანიჭებენ პოლიტიკას და პატრიოტიზმს. და ეს ორი საგანი მეტის-მეტად აფერხებს სარწმუნოების და კეთილ-ზნეობის საქმის წინმსვლელობას.. აი ამისთანა მოსაზრებანი შეაფერხებენ სწავლა-აღზრდის საქმეს დღესაც, თუ პოლიტიკური მიზანი არ მოაშორეს მას...

რომ გადაათვალიერო დღევანდელი საერო და სასულიერო ჟურნალ-გაზეთები რუსეთისა, გაოცდებით ზოგიერთი ამ ჟურნალ-გაზეთების ახირებული მსჯელობითა სწავლა-განათლების შესახებ. ერთი ნაწილი გაზეთებისა მშვენიერ რჩევებს იძლევა სწავლა-განათლების მიღების და სასწავლებლების მოწყობის შესახებ (სასიხარულოდ უმეტესობა შესამჩნევ ჟურნალ-გაზეთთაგან), მაგრამ მეორე ნაწილი სულ უკუღმართ გზას ადგია და ისეთ რჩევებს იძ-



ლევა, რომ პირდაპირ დამლუპველი შეიქნება საზოგადოებისათვის. უნივერსიტეტებზე და გიმნაზიებზე არას ვიტყვით, რადგან საკმაო მექონაგენი აღმოუჩნდნენ ამ ბოლო დროს მათ და ღმერთმან ქმნას საზოგადოების მოლოდინი აღსრულებულიყოს..

როგორც საერო უნივერსიტეტებს და გიმნაზიებს აღმოუჩნდნენ სხვა-და-სხვა მიმართულების მრჩეველნი ისე ჩვენს სასულიერო წოდებაშიც აღმოუჩნდნენ სხვა-და-სხვა მრჩეველნი და გულ-შემატკივარნი სასულიერო აკადემიებს და სემინარიებს. შენიშნულია, სამწუხაროდ, ყველგან, რომ აკადემიაში კურს დამთავრებულნი და სემინარიელებიც ხან-და-ხან მღვდელობას არ სურვობენ. ეს ზოგიერთებისათვის პირდაპირი ნიშანია მისა, რომ სარწმუნოებით ასეთი პირნი სუსტნი არიანო. შევიტყვეთ ეს, მადლობა ღმერთს, მაგრამ გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ, რა ღონე ვიხმაროთ და რა საშუალება ვიღონოთ, რომ თავიდან ავიცილოთ სარწმუნოების და ზნეობის დამასუსტებელნი მიზეზნი? ღმერთო ჩემო, რა საშუალებას და რა ღონის ძიებას გვირჩევენ ზოგიერთები და ისიც შესანიშნავ სასულიერო და საერო ჟურნალ-გაზეთები! რას გვირჩევენ ეს პირები, იცით, მკითხველო? ერთნი გვირჩევენ, რომ უთუოდ პროფესორები და მასწავლებელნი ანაფორიანი კაცები უნდა იყვნენ, თუ გვსურს, რომ აკადემიიდან და სემინარიიდან სტუდენტები სარწმუნოებით და ზნეობით მტკიცე კანდიდატები გამოვიდნენო. მეორენი გვირჩევენ, რომ პროფესორებად და მასწავლებლებად უთუოდ ბერები უნდა იყვნენო, მესამენი გვირჩევენ, რომ მცირე რიცხვი მივიღოთ აკადემიებში და სემინარიებში და ისეთები მივიღოთ, რომელნიც ნამდვილი ქრისტიანები არიანო და სხვები კიდევ რამდენი რას ამბობენ, ეს ღმერთმან უწყის... სამწუხაროდ, ამ ბატონებს ავიწყდებათ ის, რომ მარტო ანაფორას არ შეუქლია მოსწავლეს შთაუწერგოს გულში ქრისტიანული სარწმუნოება და კეთილი ზნეობა. არა, ამისათვის სულ სხვა არის საჭირო:—კაცია საჭირო და ისიც ჭეშმარიტი ქრისტიანე. ამასთან შემცდარნი არიან იმ მოსაზრებაში, რომ ვისაც სერთუკი აცვია. ვითომ ყველა ურწმუნო იყოს. დასავლეთ ევროპაში შესანიშნავი ღვთის-მეტყველები სერთუკით დადიან, მაგრამ ჯერ

არავის უთქვამს, რომ ისინი ურწმუნონი არიანო. თავი და თავი მიზეზი სარწმუნოების სისუსტისა მიტოვებული არის ზოგიერთი ავტორებისაგან, მაგალითად შეუფერებელი პროგრამა საგნის სწავლებისა და მათ კი მარტო სერთუკები მოჰყავთ მიზეზად!..

ზოგიერთ ადგილას წესად აქვსთ შემოღებული დიდხანს გააგრძელონ ლოცვები და მოსწავლენი ამით მიიჩვიონ ეკკლესიაში და შინ ლოცვას და, ნამეტნავად შეაყვარონ ღვთის ვედრება. უეჭველია უნდა ვცდილობდეთ, რომ ლოცვა და ღვთის ვედრება მოსწავლის სულის მოთხოვნილებად გავხადოთ, რომ თვითონ იმისი სულის და გულის საზრდოთ შეიქნეს ლოცვა.

ნათქვამია: «გრძნობა გრძნობით გამოიწვევაო». მართლაც, სიყვარული სიყვარულით მოიპოვება და სიძულვილი სიძულვილით. ჩვენ თუ დავანახვებთ და დავაჯვრებთ ჩვენ მოსწავლეთა, რომ მამის მაგიერობას უწევთ მათ, თუ დავარწმუნებთ მათ, რომ ჩვენ ჭეშმარიტად გვრწამს ღმერთი და მტკიცედ ვადგვივართ მის მცნებას, დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენი მოსწავლენიც წამბაძველნი იქნებიან ჩვენნი და იმდენ ხანს ილოცავენ ისინიც, რამდენ ხანსაც ვლოცვილობთ ჩვენ შინ და ეკკლესიაში. მასწავლებელმა რომ ეკკლესიაში არ გაიაროს და შაგირდეს კი უბრძანოს შენ დიდხანს ილოცეო, რასაკვირველია, მის სიტყვას გავლენა არ ექნება და შაგირდის ყოველთვის მას მიბაძავს. თუ იგი ასრულებს ხშირად ბრძანებას, ეს იმის დამამტკიცებელი არ არის, რომ მოსწავლე გრძნობს ლოცვის საჭიროებას..

სოფლის ხუტესი



ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდ- ლებანი ევროპის სახელმწიფოებში მოკზა- რობის დროს.

(გაგრძელება*)



ამოფენის ყოველ დღეს დათვლიე-
რება კაცს რაღაცა თავს აბეზრებდა
და ამისათვის დრო და დრო ჩვენ
პარიჟში მყოფობის დროს სხვა-და-
სხვა საყურადღებო სანახავეებსაც ვათ-
ვალიერებდით. ერთი დღე ავირჩიეთ
ბასტილიის მაიდნის, ივლისის კოშკის და პარიჟის
ქალაქის სასაფლაოს რასათვალიერებლად.

ბასტილიის მოედანზე წინეთ ყოფილა დიდი
სატუსალო, ციხე, რომელშიაც ოთხი მაღალი კოშ-
კი ყოფილა ტუსაღების დასამწყვდევად. ეს ადგილი
სენის მდინარის ახლოს არის პარიჟის აღმოსავლეთის
მხრით. ეს ციხე დიდი ხნის განმამაველობის შემდეგ
სახელმწიფო საქმის წინააღმდეგ დამნაშავეთათვის
დასაპყრობელ ადგილად შექმნილა. 14 ივლის 1789
წელს შემორტყმია ამ ციხეს აჯანყებული ხალხი და
დაუნგრევია მთლად. ეს მოხდა პირველი რევოლი-
ციის დროს. აღვლევებულ ხალხს დიდი შეტაკება
ჰქონია მართებლობის ჯარებთან და თავიანთი მმარ-
თებლობა დაუდგენიათ. ამ ადგილას დღეს არის ამარ-
თული დიდი მაღალი კოშკი, რომლის კიბეს ორას
ოცდა ოთრამეტი საფეხური აქვს. კიბე შიგნიდამ
ადის მაღლა ვალერეიაჟდის. ამ კოშკის ზემოთ კა-
ცის უშველებელი ქანდაკება არის თითბრისაგან
ჩამოსხმული, რომელსაც ერთ ხელში უკავია ფარა-
ნი განათლების ემბლემა და მეორეში—გაწყვეტილი
ჯაჭვი—თავისუფლების ნიშნად; ძირს კოშკზე არის
დაწერილი: «ერთობა, ძმობა და თავისუფლება».

აიგო ეს ძველი საფრანგეთის მოქალაქეთა სადი-
დებლად, რომელნიც იბრძოდნ საზოგადოების თა-
ვისუფლებისათვის 27, 28 და 29 ივლისს 1830
წელსა. კოშკის ძირა ერთ კედელზე დაწერილია

ცნობა იმ 615 მსხვერპლისა, რომელთაც თავიანთი
სიცოცხლე შესწირეს ხალხის თავისუფლებისათვის.

ამ კოშკიდან მთელ პარიჟს დასჩერებიხარ ზე-
მოდამ. აქედან თქვენ თვალწინ იშლება პარიჟის
ქალაქის ქუჩების ისეთი სურათი, რომლის მსგავსს
სხვა ევროპის ქალაქებში იშვიათად შეხვდებით.
ამ კოშკის ძირს სასაფლაოა. ეს ძველი გაკეთებუ-
ლია 1840 წელსა. ამ კოშკის მნახველს, რომელიც
მასთან კოშკის ისტორიას კარგად გამოიკვლევს და
ვანების თვალს გადაავლებს საფრანგეთის ხალხის
ისტორიას, დიდხანს ჩარჩება ხსოვნაში მისი ნახვის
შთაბეჭდილებანი და ხშირად მოაგონდება ხოლმე
თავის სიცოცხლეში. ამ კოშკიდან მთელს პარიჟს,
როგორც ვსთქვით, ზემოდან დაჩერებიხართ. აღმო-
სავლეთის მხრით თქვენ თვალწინ იშლება სასა-
ფლაო ქალაქისა—ესრეთ წოდებული—სასაფლაო
მამა ლაშეზასი.

პარიჟის ქალაქს თუთხმეტი შესანიშნავი სასაფ-
ლაო აქვს, მაგრამ იმ სამ სასაფლაოში ყველაზე
შესანიშნავია სასაფლაო მამა ლაშეზისა და ამიტომ
ჩვენც მისი დათვალიერება განვიზრახეთ. ამ სასაფ-
ლაოს ეწოდება სახელი ადგილის პატრონისა. ლა-
შეზი იყო იეზუიტი, მოძღვარი ლიუდოვიკ მეოთხ-
ხმეტესი და სახლი ჰქონდა სწორედ იმ ადგილას,
სადაც დღეს არის პატარა კაპელა სასაფლაოსი.
1763 წელსა მართებლობამ იეზუიტები გააძევა
საფრანგეთიდან და რამდენიმე მეპატრონე გამოი-
ვალა ამ ადგილმა, მაგრამ ბოლოს 1804 წელსა
ქალაქმა იყიდა ეს მამული და დანიშნა სასაფლაოდ.
დიდი ადგილი უჭირავს ამ სასაფლაოს და როგორც
გამოანგარიშებულია, დღემდის დამარხულა შვიდა-
სი ათასი კაცი ამ სასაფლაოზე. ამ სასაფლაოზე
არიან დამარხულნი პარიჟის ქალაქის დიდებულნი
პირნი. მეფის გვარეულობანი ეკკლესიაში არიან
დამარხულნი ნაპალეონ პირველს გარდა და ის კი
ცალკე, საგანგებოთ ამორჩეულ ადგილზე არის და-
მარხული—გამოფენის ახლო ეკკლესიის მახლობ-
ლად. შესანიშნავი მწერლები და პრეზიდენტები
კი პანტეონში არიან დამარხულნი. ტიერი ლაშე-
ზას სასაფლაოზეა დამარხული და მშვენიერი ძეგ-
ლიც აქვს დადგმული. სასაფლაო მშვენიერად არის
დაყოფილი, ასე რომ სასაფლაოს ორივე კუთხით
მიუდგები კაცი ადვილად. უფრო მეტი სასაფლაოები
აქ ყოფილა ოთახებივით და შიგნით ერთი მთელი

*] იხ. „მწყემსი“ № 5, 1901 წ.

გვარეულობა იმარხება. სასაფლაოები სამ გვარია. საზოგადო სასაფლაოები, სადაც ერთად იმარხებიან 40—50 გარდაცვალებულნი, დროებითი და სამუდამო. საერთო სასაფლაოზე, სადაც ერთად იმარხებიან გარდაცვალებულნი, არაფერი გადასახადი არ არის დამარხვისათვის და საზოგადოების თითქმის ორი მესამედი ამ ნაირად იმარხება. დროებით სასაფლაოებში ხუთი წლის ვადით დამარხვა ღირს ორმოც-და-ათ ფრანკად. ხუთ წელს იქით იმ ადგილზე სხვა შეიძლება დაიმარხოს. სამუდამო სასაფლაო ზომით სამი კვადრატული ალაბი ღირს ხუთასი ფრანკი. ოთხასი ფრანკი მიღის ქალაქის სასარგებლოდ და ასი ლარიბების სასარგებლოდ. ექვსი კვადრატული ალაბი სასაფლაო ადგილი ღირს ათასი ფრანკი, პირველად მყიდველს შეუძლია შეიტანოს ამ ფულებიდან ერთი მეოთხედი და დანარჩენი ათი წლის განმავლობაში გადინდოს. თუ თავის დროზე არ შეიტანა ეს ფულები, მაშინ ადგილს უკან იბრუნებენ და სხვაზედ შეუძლიათ გაყიდონ. ამისათვის არც საჩივარი და არც სასამართლოს განჩინება საჭირო არ არის. ეს სასაფლაო ეკუთვნის ქალაქს და ქალაქი სარგებლობს, რასაკვირველია, სასაფლაოდან შემოსული ფულის რამოდენიმე ნაწილი გადადებულია ქალაქისაგან სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებათათვის.

ფრანკუზები ყოველ ხარჯის დროს ყაირათობას იჩენენ. კაცის დამარხვასაც ისე ეკონომიურად ექცევიან, რომ უბრალოდ ფულს არ დახარჯავენ ჩვენებურად და გარდაცვალებულის ჭირისუფალი ვალში არ ჩაეარდება. პარიჟში ამხანაგობა არის შემდგარი გარდაცვალებულთა დასამარხავად. ეს ამხანაგობა იღებს დასამარხავს პოლიციისაგან დადგენილი საფასით. ამხანაგობას ცხრა სხვა-და-სხვანაირი დამარხვა შეუძლია გარდაცვალებულთა ნათესავების შეძლებისადაგვარად. ამ ცხრა გვარ დამარხვაში რომელიც სურთ იმას აირჩევენ. ფასი დამარხვის ცერემონიებისა იწყება თვრამეტი ფრანკი და 75 სანტიმიდან 7000 ფრანკამდე. ამხანაგობის ხარჯში არ შედის ის ხარჯი, რომელიც მოითხოვება მღვდლისა და ეკლესიისაგან. ყოველ სასაფლაოზე არის მიჩენილი ორი მღვდელი ეკლესიური წესის ასასრულებლად სასაფლაოს ეკლესიაში. ამ მღვდლებს ქალაქისაგან აქვს დანიშნული თითო-

ეულს ათას ხუთასი ფრანკი, ესე იგი, 1200 მანეთამდე სადგომებსა და სხვა შემოსავლის გარდა.

სასაფლაო კარგა მომალლო გორაკ ადგილზე არის, ასე, რომ პარიჟის ქალაქის ნახევარზე მეტს თითქმის ზემოდამ დაჰყურებს. თითქმის ერთი ვერსის სიშორეზე, ქუჩების დათვლიერება შეგატყობინებს, რომ სასაფლაოს მიუახლოვდით. მალაზიებში და ღუქნებში სწორეთ ყველა ის ნივთები აქვს, რაც სასაფლაოსათვის არის საჭირო: ჯვრები, ძეგლები, კუბოები, ხატები, ანგელოზები, ძეგლის ქვები და სხვა ამისთანაები. ამ ქუჩებში სწორეთ მარტო ამ ნივთებით ვაჭრობენ.

ამ სასაფლაოზედვე არის მოწყობილი გარდაცვალებულთა გვამის დასაწვავიც, მხოლოდ მათთვის, რომელთაც სურთ, რომ შემდეგ სიკვდილისა მათი გვამი კი არ დაიმარხოს, არამედ დასწვან და ჭირისუფალთ ჰატარა ყუთში ჩადებული მათი ფერფლი მისცენ. ხომ მოგხსენებათ, კაცის ბუნება ისეთია, რომ ხშირად ახირებულ საქციელს ჩადის ზოგი წაბაძვით და ზოგს ისე თავისი ახირებული სურვილით. დიდი ხანია შევიტყვეთ და გავიგეთ, რომ კაცია მიწისაგან აშენებული და შემდეგ სიკვდილისა მიწადვე იქცევა. ამას ეუბნება კაცობრიობას ბუნებაც და სალი გონებაც. ამასთან ყველაზე უადვილესია კაცისათვის ამნაირად გარდაცვალებულის გვამის მოშორებაც. ყოველი მხრით ამ კითხვის გამოკვლევა იმას გვიმტკიცებს, რომ გარდაცვალებულნი დამარხვის შემდეგ თუთხმეტი-ოცი წლისა სრულებით უვნებელი არიან მცხოვრებთათვის. მაგრამ სხვა-და-სხვა სარწმუნოების სწავლისამებრ, მრავალ ადგილას ველურ ხალხში სულ სხვანაირად ეპყრობიან გარდაცვალებულთა გვამს: ზოგან მათ ხეზე ჰკიდებენ და ჰაერზე იხრწნება სხეული, ზოგან სწვენ და ფერფლად აქცევენ, ზოგან წყალში აგდებენ და ზოგან, ასე წარმოიდგინეთ, კიდევ სქამენ!..

ფრანკუზებს ყოველთვის მოსწონთ თავიანთი თავის გამოჩენა. ევროპის სხვა ხალხებში თითქმის ყველაზე უწინ ფრანგებმა შემოიღეს გარდაცვალებულთა დაწვა. ჩვენ ენახეთ პარიჟში, ამ ლაშეზას სასაფლაოზე მოწყობილობა გარდაცვალებულთა გვამის დასაწვავად, ამისათვის, ვგონებ, მეტი არ იქნება ორიოდ სიტყვა იმაზე, თუ როგორ ასრულდება აქ გარდაცვალებულთა გვამის დაწვა. ეს

ახალი შემოღება საფრანგეთში დიდი ხნის არ არის და არც ისეა გავრცელებული, როგორც ფიქრობდნენ. პარიჟში მხოლოდ ამ ლაშქრის სასაფლაოზეა მოწყობილი მკვდარი კაცების გვამის დასაწვავი, თორემ სხვა სასაფლაოზე არსად არ არის. აქ სასაფლაოზე პატარა ეკლესია არის, რომელშიაც ყველა გარდაცვალებულზე ასრულებენ სამღვდლო პირნი ქრისტიანულ წესს, ვინც დასამარხია ან სხვა ეკლესიებიდან ან ამ ეკლესიიდან წაასვენებენ დასამარხავად დამზადებულ ადგილას. ვისაც ანდერძით დაუბარებია, რომ მისი სხეული უთუოდ დასწვან; როცა ყოველი წესი ასრულდება ასეთ მიცვალებულზე, მერმე იქვე საფლავის მსგავსად ამოჭრილი ადგილია ზე გარდაცვალებულის კუბოს ჩაუშვებენ და გამოეთხოვებიან. როცა კუბო ჩავა ძირს, იქ პატარა ეტლის მსგავსი დასადგმელია მოწყობილი და იმაზე დაიდგმება კუბო. ეს პატარა ვაგონის მსგავსი ეტლი ისეთი ლითონისაგან არის გაკეთებული, რომ სიციხე არ ავნებს. ამ ეტლს კუბოთი მანქანებით წააგორებენ წინ და შეატანენ ერთ პატარა ოთახში, რომელშიაც შედის ისეთი ცხელი ჰაერი, რომელიც მთლად ფერფლად აქცევს ყველაფერს გარდა ძვლებისა. კაცის სხეულის ძვლებიც კი იწვეება, მაგრამ სულ ფერფლად არ იქცევა. ამ ძვლებს დაფშვნიან და პატარა კოლოფში ჩაყრიან და შეინახვენ. კაცის სხეულის დანარჩენი ფერფლი და ძვლები იწონის მეცამეტე სიმძიმეს დაწვის შემდეგ. ამისათვის კედლებში მოწყობილია პატარა უჯრები. ეს უჯრები ოთხ-კუთხიანი არის 6—7 გოჯამდის. გარეთ პირზე სურათია გარდაცვალებულის, მისი სახელი, გვარი, დაბადების და გარდაცვალების თარიღით და ჩვეულებრივი პატარა ეპიტაფიები. გვამის დაწვის დროს ალი სრულებით არა სჩანს და არც კომლი. სხეულზე მარტო ცხელი ოთახის ჰაერი მოქმედებს. ამისთანა დამწვარ სხეულთათვის დიდი კედელია ორი მხრით გაკეთებული დასავლეთის და სამხრეთის მხრით ეს კედლები გადახურულია ფარდულის მსგავსად და ამ კედლებშია მიყოლებული ეს უჯრები. აქაც ეს უჯრები სამუდამოც არის და დროებითიც, ხუთი წლის ვადით და თავისი ფასი აქვს დანიშნული. ღარიბებისათვის სხეულის დაწვა სამძიმოა, რადგან ცოტა უი არ ეხარჯება ამისათვის ქირისუფალს. თითო დაწვა ორმოცდაათ მანეთამდე ჯდება სხვა ხარჯი. ხშირად იბარებენ სიცოცხლე-


ში, რომ მისი სხეული უთუოდ დასწვან და არ და-მარხონ ჩვეულებრივად, მაგრამ ქირისუფალნი არ ასრულებენ, ამბობენ, რომ უკანასკნელ დროს თავის გონებაზე არ იყო გარდაცვალებული და ამიტომ მისი სურვილი არ უნდა აღსრულდესო. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც სხეულის დაწვა შემოღებული, მაგრამ საზოგადოების თანაგრძნობა ვერ დაიმსახურა და იშვიათად სრულდება აქაც გარდაცვალებულთა გვამის დაწვა. ამ ჩვეულების გავრცელებას აბრკოლებს პირველად ხალხის უმეტესი ნაწილის წინააღმდეგი აზრი და სურვილი ამ ჩვეულების შემოღების შესახებ, მეორედ სიძვირე ამ წესის ასრულებისა და მესამედ—საზოგადოდ, წინააღმდეგი გრძნობანი, რომელთაც ჰბადებს ესეთი ახირებული ჩვეულება, როგორც კაცის სხეულის დაწვა.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ სასაფლაოები პარიჟში მშვენიერად მოწყობილია და მეტის-მეტად სუფთად და კარგად არის დაცული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პარიჟში გარდაცვალებულთა დიდ პატივს სცემენ, რასაც ცხადად ამტკიცებენ სასაფლაოზე დადგმული ძეგლები...

(შემდეგი აქნება)

ჩუნეშის საბლალოჩინო მაზრის ეკლესიების და სამღვდლოების დათვალიერება მათი ძეგლების იმერეთის ქვისკ. ლეონიძის მიერ 13—21 აპრილს 1901 წ.

ცამეტი აპრილიდან ყოვლად სამღვდლო ლეონიძემ იწება წაბრძანება ჩუნეშის საბლალოჩინო მაზრაში ეკლესიების დასათვალიერებლად. მის შეუფუებას თან ახლდნენ ადგილობრივი ბლალოჩინი, ქუთ. საკათედრო ტაძრის მღვდელი ნ. შვანგირაძე და ქუთ. წმ. გიორგის ეკ. წინამძღ. დეკანოზი ნ. ყუბანეიშვილი. ეს უკანასკნელი მღვდლომთავრის მინდობილობით იხილავდა საეკლესიო საბუთებს და შესავალ-გასავლის წიგნებს, და, ყველგან შესაფერ დარიგებასა და შენიშვნებს ად-



ლევდა სამღვდლოებას. ეს გარემოება მეტის-მეტ საყურადღებოთ მიიჩნია ჩუნეშის საბლალოჩინო მაზრის სამღვდლოებამ და ყველას სასიხარულოდ დაურჩა იმის გამო, რომ სამღვდლოებამ იკრძოთ თავი თავის ალაგას; რომ მის ღირსებას და ხარისხს პატივისცემით მოეპყრენ; რომ მის ნამოქმედარსა და ნაწარმოებ საქმეს საპატიო სამღვდლო პირი იხილავედა და არა უბრალო დიაჩოქები ან საერო, კერძო პირები, როგორც ეს წინა მღვდლოთ-მთავრების დროს ჩვეულებად იყო ხოლომე შემოდებული.

მღვდელმთავრის მიბრძანება ამა თუ იმ ეკლესიაზე, რასაკვირველია, წინდაწინ ჰქონდა სამღვდლოებას ნაუწყები და ამიტომ ყველგან, სადაც კი მათი მეუფება მიბრძანდებოდა, შესაფერისი პატივისცემით უხვდებოდა სამღვდლოება და მათი მრევლი. ყველას, ერსა და მღვდელს სიხარულით უძგვრდათ გული და ეშურებოდნენ ახალი მღვდელმთავრის პირისპირ ხილვას, ყველას სწყუროდა მოესმინა მღვდელმთავრის, დიდი ხნიდან შეწყვეტილი სწავლა-მოძღვრება და დარიგება, და მიელო ლოცვა-კურთხევა. — იმედი გაუბართლდათ. იმაზე უფრო სასიამოვნო ხომ აღარაფერი უნდა იყოს კაცის ცხოვრებაში, როცა კაცი რაიმე შემთხვევას მოელი, იმედოვნებ, და ეს იმედი არა თუ აღვისრულდება, იმაზე მეტსაც მიიღებ კაცი. სწორედ ასე მოხდა. მათი მეუფება ყოველ ეკლესიაზე ხალხს ვრცელს დარიგებას აძლევდა და ესაუბრებოდა სხვა-და-სხვა საჭირო საგნებზე. საუბრები ისეთის ცოცხალისა და გასაგების ენით იყო ნათქვამი, რომ ყველას ადვილად სწვდებოდა გულის სიღრმემდი და ამიტომ, რა თქმა უნდა, ნაყოფსაც მეტს მოიტანს. განსაკუთრებით ჩვენი ყურადღება შეიბჳრო იმ გარემოებამ, რომ თუმცა საუბრების საგნები სხვა-და-სხვა იყო ყოველს ეკლესიაზე და ხშირად ადგილობრივი გარემოების შესაფერი, მაგრამ ამისდა მიუხედავად მღვდელმთავარი ისე თავისუფლად ესაუბრებოდა ხალხს და უმტკიცებდა თავის აზრს საღმრთო წერილის ადგილებით, რომ კაცი უნებურად განცვიფრდებოდა. ეს უეჭველი და უტყუარი საბუთია იმისი, რომ ახალი მღვდელმთავარი ნიჭთან ერთად ღრმად მცოდნეა საღმრთო წერილის და რასაც ლაპარაკობს, გულის სიღრმიდან ამოაქვს და რწმენით ლაპარაკობს. აგრეთვე უყურადღებოდ არ დაუ-

ტოვებია მღვდელმთავარს ჩვენი ისტორიის ძველი ნაშთები და ზოგან მათ შესახებ ვრცელი დარიგება უძღვნა ხალხს. მაგალითად, როცა გამოღმა ჩუნეშის წმ. სტეფანეს ეკლესიაზე მიბრძანდა მათი მეუფება და შეიტყო, რომ სამრევლო ეკლესიათ არის გადაკეთებული ერთი ძველი ნაციხვარი, რომელსაც ხალხი თამარ მეფის აშენებულად რაცხს და რის გამო ამ სოფელს ციხის გვერდსაც ეძახიან, მღვდელმთავარმა გაახსენა ხალხს თამარ მეფის დრო და ძველი ქართველობა, მათი ცხოველი სარწმუნოება, ღვთის სიყვარული და გულ-უხვი შეწირულება ტაძრებისადმი. ამასთანავე აუხსნა, რომ ძველ ქართველებს ისეთი დიდი სიყვარული ჰქონდათ საღმრთო წერილის ცოდნისა და საზოგადოდ, მწიგნობრობისა, რომ დიდ ნაკლად მიიჩნდათ, როცა მზითში, სახარებას, სამოციქულოს, დავითნს და ასე გასინჯეთ „ვეფხისტყაოსან“-საც კი არ გაატანდნო. ამ ეკლესიაზე მღვდელმთავარს შეეგება მრევლას მღვდელი იუსტინე ფანცხავა და მოახსენა შემდეგი სიტყვა:

„ყოვლად უსამღვდლოესო მეუფეო, მოწყალეო მღვდელმთავარო! „ნამეტნავისაგან გულისა, პირი იტყვიანო“, ბრძანებს წმ. მახარებელი. დღევანდელი თქვენი მეუფების პირველად მობრძანებით ამ ჩემდამო რწმუნებულ ღვთის ტამარში ჩემი გულიც აღვისილია სიხარულით და იმედით და ამიტომ უმორჩილესად ვითხოვ თქვენი მეუფებისაგან ნება მიბოძოთ ორიოდე სიტყვით გამოვსთქვა ჩემი გულის თქმა და შთაბეჭდილება. — საერთო სიხარულს, გამოწვეულს თქვენი მეუფების პირის-პირ ხილვით და საზოგადოდ იმერეთის ეპარქიის ერთს უძველესს და წარჩინებულს კათედრაზე დანიშნით, სრულიად ემორჩილება ჩემი და ჩემი მრევლის გულის თქმაც და აი რისთვის: მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გაბრიელ ეპისკოპოზი სიტყვით, თუ საქმით წინ მიუძღოდა იმერეთის ეპარქიას ნათლის სვეტად და მის მრავალ ნაყოფიერ მოქმედებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საქართველოს განვითარების ისტორიაში. თუ ეს ასე იყო წარსულში, ამასვე მოველით თქვენი მეუფებისაგან აწყოში; აწი, ამ მეოცე საუკუნეში თქვენ გაუძღვებით იმერეთის ეპარქიას ქრისტეს ჯვრით ხელში და ფხიზელი მოქმედებით და, დარწმუნებული ვართ, საიმედო ნავთ-საყუდლომდე

მიიყვანთ თქვენს სამწყსოს. ამით ხარობს და ამით ნუგეშობს თქვენი ახალი სამწყსოსი თვითოეული წევრი. მაგრამ ყველაზე უმეტესად სასიხარულოა და სანუგეშო თქვენისთანა განათლებული და გონიერი მღვდელმთავრის ყოლა ჩვენთვის, — სოფლის სამღვდელოებისათვის. ყოველი ჩვენგანი სრული დარწმუნებულია, რომ თქვენში იპოვიან საიმედო ხელმძღვანელს თავისს მძიმე მოვალეობის აღსრულების საქმეში. ამასთანავე არა ვართ უმეცარი, რომ ძნელია და ფრიად მძიმე მღვდელმთავრის მოვალეობა საზოგადოდ, მაგრამ ორკეცად უფრო მძიმეა იგი ჩვენში, ჩვენს ბედში მყოფი საზოგადო სულიერი ხელმძღვანელისათვის. არ ბრძანდებით უცხო და ამიტომ კარგად იცნობთ ქართველი კაცის დაკოდილ გულს რას ითხოვს იგი, რას საქიროებს იგი თავის სულიერი ხელმძღვანელისაგან. — ქრისტიანობრივი სარწმუნოების განმტკიცება, ზნეობრივი აღზრდა, უმეცრებიდან ცნობიერებაში მოყვანა და თვით შეგნებულობის გაღვიძება, — აი რა უნდა ასულდგმულებდეს დღეს ჩვენში სულიერ ხელმძღვანელს და ქრისტეს ყანაში მოღვაწეს. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ადვილად ითქმება. ბევრა შრომისა და მწუხარების ატანა, დიდი გამოცდილება და გონება, დიდი გულის სიმაგრე და ზნეობრივი სიფაქიზე მმართველ სულიერ მოღვაწეს, რომ პირნათლად აღასრულოს თავისი მოვალეობა და არ შედრკეს, არ შეუშინდეს ყოველივე იმ დაბრკოლებას, რომელიც აუცილებლად მოსალოდნელია ამ ეკლიან გზაზე შინ, თუ გარედ. ხშირად ისიც კი მოხდება ხოლმე ჩვენში, რომ ყბად აღება არ ასცილდება საზოგადო მოღვაწეს. მაგრამ ვისაც თავის ერი უყვარს და ვისაც სამშობლოს სიკეთისათვის თავი განუწირავს, ის იმედია ყველაფერს დაითმენს; მით უმეტეს, რომ ქრისტე მაცხოვრის მაგალითით გამხნეებულს მფარველად ეყოლება ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი, ხელმძღვანელად და ნუგეშად მრავალ ქირანახული საქართველოს გრძელი ისტორიის წმიდანი მოწამენი და მღვდელ-მთავარნი. — სრული დარწმუნებული ვართ, რომ არც ჩვენ მიგვიჩნევთ უცხოთ. რაშიდაც და სადაც კი გამოვდგებით ჩვენც, სოფლის სამღვდელოებასაც, მუდამ თქვენი მოქმედების ხელის შემწყობად გვიგულებდეთ ყოველთვის. თუმცა სოფლის ცხოვრე-

ბის დღევანდელი პირობები ისე უფერულად ხლიან მოძღვრის მოქმედებას სოფლად, რომ მისი გავლენა არსად და არაფერში არ ბრწყინავს თვალსაჩინოდ, მაგრამ ამისდა მიუხედავად მუდამ მზათავართ წანალუდგეთ სოფლისათას გვარ მანებელსა და არა ქრისტიანულ ჩვეულებათ, განვამტკიცოთ ხალხში ქრისტეს ქეშმარიტი მოძღვრება და სწავლა, შევიტანოთ მასში ზნეობრივი აღზრდა და სულიერი წარმატება. აქ, ამ არა მცირედი შრომისა და გამოცდილების საქირო საქმეში, სოფლის სამღვდელოებას თქვენ ეყოლებით ხელმძღვანელად და წამხალისებლად და თქვენის მაგალითით წაქეზებულს შეუძლია: „თავი თვისი დასდვას ცხოვართათვის“.

X



ბიბლიოგრაფია.

- 1) **А. А. Цагарели.** Грамоты и другие документы, относящиеся до Грузии. Т. II. Вып. I. Грузинские тексты съ 1768 по 1801 г. СПб. 1898. (Издание Высочайше утвержденной Комиссии печатания Государственныхъ Грамотъ и Договоровъ, состоящей при Московскомъ Главн. Архивѣ Министерства Иностранныхъ дѣлъ). XVI+209.
- 2) **А. С. Хахановъ.** Очерки по исторіи грузинской словесности. Вып. 3. Литература XIII—XVIII вв. Москва. 1901 г. IV+435. ц. 3 руб.

დასასრული *)

* «სამღვდელოათვის: ვითარცა არს უპირველესი აწ საქართველოსა შინა სამღვდელოთა ერთა შორის ძე მეფისა ირაკლისა ანტონი, რომელსაცა აქვს ძველისა იქაურთა განწესებისაებრ ტიტულად კათალიკოსობა, კურთხებულ არს ხელმწიფობასა შინა ნეტარ-ხსენებულისა იმპერატორისა (ეკატ. II) პეტრესა შინა არხივისკოპოსისასა ცარსკოსეოს, და

*) იხ. „მწყემსი“ № 7 1901 წ.

მუნ წარგზავნილ იქმნა განრიგებისათვის მუნებურთა სამღვდელთა წესთასა, — ეგრეთვე დაშთეს იგი მასვე თანამდებობასა და სსხელსა შინა; თანასწორადვე სხვანიცა ეპარხიათა შინა თვისთა მყოფნი მიტროპოლიტნი, არხიეპისკოპოსნი და ილუმენნი, პროტოპოზნი, მღვდელნი და დიაკონნი, და სხვანიცა ეკკლესიისა მოსამსახურენი თვითოეულნი წოდებისაებრ თვისისა და ადგილთა მათთა სახელდობით თუ ვითარნი და რაოდენნი არიან იგინი, მიუცილებელად მუნ მიწვევისა ჩვენისაებრ — ყოვლად მონებრივითა სახითა ჰყყოფთ მოხსენებასა... და ვითხოვთ, რომელ ყოველნივე იგი სამღვდელთა წესნი იყვნენ შეწყნარებულ, პატივცემულ, ღირსებისაებრ ხარისხისა მათისა თანასწორათ სხვათა ხარისხისა მექონეთა რუსეთისათა, ვინაღან ქვეშევრდომილ ქმნილი იგი სამეფოთა თვისითა ნებისა შეერთდა სამიწკატარასა“. (§ 7).

ასეთი იყო უკანასკნელი თხოვნა და სურვილი ქართლ-კახეთის ელჩებისა. 1801 წელს, 12 ენკენისთვის, გამოიცა საქართველოს შესახებ უმაღლესი მანიფესტი ალექსანდრე I-ისა, რომელშიაც ვკითხულობთ: «...Каждый пребудетъ при преимуществвахъ состоянія своего, при свободномъ отправленіи своей вѣры и при собственности своей неприкосновенно...» და სხვა¹⁾. რა მოხდა ამის შემდეგ ჩვენს ეკკლესიაში ან სამეფოში, ამაზე ბ. ცაგარლის მიერ გამოცემული „ღრამატები“ აღარაფერს ამბობენ და ჩვენც გაჩუმებას ვამჯობინებთ...

¹⁾ АКТЫ К. А. К. т. I, стр. 433, столб. 1. — იურიდიული საბუთება, რომელნიც საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეს შეეხებოან, წყდს რუსულათ იქნა დაბეჭდილი ა. ხახანაშვილის მიერ ჟურნალ „Русская Мысль“-ში. (იხ № 1: А. Хахановъ, Къ столбѣтии присоединенія Грузіи къ Россіи). ხელთ დაწერილებით გამოკვლევა ამავე სტენისა, იხ. ა. ხახანაშვილის ფრად დაბეჭდილი წერილი ჟურნალ „Вѣстн. Европы“-ში (№ 1, стр. 340—366) შემდეგი სთავით: „Столбѣтная годовщина присоединенія Грузіи къ Россіи 1801—1901 г.“.

ბ-ნ ალექსანდრე ხახანაშვილის „მიმოხილვათა“ (Очерки..) ერთ უმთავრეს ღირსებათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ავტორი არ ჯერდება უბრალოსა და მშრალს აღწერას ჩვენი მწერლობის ნაშთებისას. იგი ყოველთვის ცდილობს ესა თუ ის უმთავრესი მიმართულება ჩვენი ძველი მწერლობისა ისტორიულ და პოლიტიკურ ფაქტებს დაუახლოვოს, საერთო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პირობებში გამოუნახოს სათავე გონებრივ ნაწარმოებთა ზრდა-მატებას, დაცემას, გინდ აღორძინებას და სხვ. ამ მიზნით პატივცემული პროფესორი ყველა თავის თხზულებას წინ წაუმძღვარებს ხოლმე მოკლე-მოკლე განხილვას საქართველოს ისტორიისას ამა თუ იმ პერიოდში, არ ტოვებს უყურადღებოთ არც გამოჩენილი მწერლების ბიოგრაფიებს, რამდენათაც კი მათი აღწერა შესაძლოა მასალისდა მიხედვით. ამითი ავტორი მეტად უადვილებს საქმეს როგორც უცხო მკითხველს, რომელიც საქართველოს ისტორიას არ იცნობს, აგრეთვე თვით ქართველებსაც, რომლისთვისაც, ისტორიული პირობების გათვალისწინებით, მეტათ ადვილ-შესაგნები ხდებიან თვითონ ლიტერატურული მოვლენანი, რომელნიც ამ პირობებში აღმოცენებულან. ვის არ ახსოვს, მაგალითად, თუ რა შესანიშნავის ძლიერებით აქვს წარმოდგენილი პატივცემულ მეცნიერს (აღნიშნული თხზულების მე-III წიგნში) მოკლე მიმოხილვა საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკისა მე-X-XII საუკუნეებში, დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს!..²⁾ კითხულობთ ამ ადგილებს, უდარებთ მათ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას და თანდათან რწმუნდებით, რომ იმ პირობებში, რომელთა შორისაც წმ. ევთიმე, გიორგი მთაწმინდელი, შოთა რუსთაველი, მოსე ხონელი, ჩახრუხა და სარგისთ-მოგველი ჰყვოდნენ, სრულებითაც არ იყო ძნელი ქართველის ნიქს ისეთი მარგალიტები და ტიპები შეექმნა, როგორც ამ უკვლავმა მწერლებმა დაგვიტოვეს. მსგავს ტიპებს თვითონ ცხოვრება იძლეოდა, თუ ერთათ არა, ნაწილ-ნაწილად მაინც; თვით ცხოვრებავე უწყობდა ზნეობრივად ხელს მაშინდელ საზოგადო მოღვაწეებს. იმ დროს ყოვლად შეუძლებელი იყო საზოგადო მოღვაწის მხრივ ის სრულიად

²⁾ იხ. Очерки... ტ. II, გვ. 120—124, 149—154.

სამართლიანი საყვედური საზოგადოებისადმი, რომელიც ასე ხშირად ისმის ამ ჩვენს, გათახსირებულს პირობებში და რომლითაც სრული უფლება აქვს მოგვემართოს პატივცემულმა პროფესორმა ც. ნივთიერ დახმარებას ვინ დაეძებს? „Нравственная поддержка“, — აი რას ჯერდება საზოგადოებისაგან თანამედროვე ჩვენი მოღვაწე და, კერძოდ, ლიტერატორ-მეცნიერი! და მერე, ვართ განა მომზადებული, რომ ჩვენს უანგარო მოღვაწეებს ეს წმინდა „ზნეობრივი დახმარება“ მაინც აღარ მოვანატროთ?! თუ კი ვიყოთ, მაშ საიდგანლა გაჩნდებოდა პატივცემული პროფესორის თხზულებაში შემდეგი ფრაზა: „Прекрасно сознавая недостатки трех своих книг, авторъ рассчитывает на снисходительность его читателей, *в виду спѣшности работы и отсутствія не только прецедента въ этой области, но и нравственной поддержки*“, — და სხვ. ³⁾ ჩვენ განგებ ვუსვამთ ხაზს უკანასკნელ სიტყვებს. თვითონ ავტორს კი, რასაკვირველია, ეს სიტყვები ისე მკრთალად აქვს სადღაც სხვა ფრაზებში გახვეული, თითქოს კიდევაც ვხატობა ამ სამართლიანი საყვედურის გამომკვლავებაო. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მის მაგიერათ არა ვსთქვათ ის, რაც დღეს ყოველ ჩვენს უანგარო მოღვაწეს ეთქმის ჩვენი საზოგადოების უმრავლესობისადმი, არ შეგვიძლია ამ უკანასკნელს არ ვუსაყვედუროთ ის კლასიკური გულგრილობა, რომლითაც იგი ჩვენთა მკვლევართა სამეცნიერო მოღვაწეობას ეკიდება!.. დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს ამ ნაირი გულგრილობა ყოველად შეუძლებელი საქმე იყო, — და, აი, სად უნდა ვეძებოთ, სხვათა შორის, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმ დაუშრეტელის ნაყოფიერებისა, რომელიც ასე გვაოცებს ჩვენ მთაწმინდელთა ღვთისმეტყველურს მოღვაწეობაში, ან-და იმ ღვთაებრივ პოეტურის აღტაცებისა, რომლითაც ისე ძლიერათ არის გამსჭვალული ყოველი ტაეპი, ყოველი სტრიქონი, ყოველი წინადადება რუსთაველ მესხის უკვდავი პოემისა. დიახ, თამარის საუკუნე «ოქროს საუკუნე» იყო ჩვენი მწერლობისათვის, და ეს მხოლოდ მიტომ, რომ იგი ამავე დროს ოქროს საუკუნე იყო ჩვენი პოლიტიკური ძლიერებისაც.

³⁾ Очерки... ტ. III, წინასიტყვაობა, გვ. IV.

მხოლოდ პოლიტიკურმა ძალამ ასწავლა ხალხს სულგრძელება და მასთან ერთად მიანიჭა საშუალება თავის საზოგადო მოღვაწეებსაც სულგრძელებით მოპყრობოდა. ამ ფსიხოლოგიურს ურთიერთობაზე აღმოცენდა ის, რასაც ქართული ლიტერატურის «ოქროს საუკუნეს» ეძახიან...

მაგრამ... წარვიდენ წელნი... შეგნივ ფეოდალურმა წიწქნა-გლეჯამ და გარედამ უცხო მტერთა ურდოებმა: ჩინგისხანისამ, თამერლანისამ, შაჰ-აბაზისამ და სხვათა საბოლოოვით დასცეს ჩვენი-ქვეყნის პოლიტიკური ძლიერება. ამას თან მოჰყვა გონებრივ-ზნეობრივი ჩამოქვეითება, თან მოჰყვა ლიტერატურის შეფერხებაც...

ასეთ მდგომარეობაში იყო საქართველოს ცხოვრება მე-XVIII საუკუნის დამდეგამდე, როცა კვლავ გამოუბრწყინდა ჩვენს სამშობლოს დიდებული სხივი პოლიტიკურის აღორძინებისა და გონებრივის განახლების. ვახტანგ VI-ის ადმინისტრატულმა ნიჭმა, თეიმურაზ II-ის და განსაკუთრებით ირაკლი II-ის სამხედრო გენიამ, ანტონ I-ის კათალიკოსის საეკლესიო მოღვაწეობასთან შეერთებულმა, კვლავ ფეხზე წამოაყენა დაცემული ქართლ-კახეთი. ამას ზედ დაერთო კათოლიკეთა სამღვდლოების კულტურული მოღვაწეობაც ჩვენს ქვეყანაში. გაჩნდნ საერო პოეტები: დავით გურამიშვილი, ბესიკი და სხვ., — ლექსიკოგრაფი საბა-სულხან ორბელიანი, სჯულის მდებელი მეფე ვახტანგ VI, ისტორიკოს-მემატიანენი — ვახუშტი ბატონიშვილი, პაპუნა ორბელიანი, სეხნია ჩხეიძე და სხვ., — ღვთის-მეტყველ-ფილოსოფოსი ანტონ I კათალიკოსი, — საეკლესიო მქადაგებელნი — ანტონი ჭყონდიდელი და ამბროსი ნეკრესელი, — წმიდა ადგილებში მოგზაურნი ტიმოთე არხიეპისკოპოსი და მიტროპოლიტი იონა, — გაიხსნა სემინარიები თელავსა და თბილისში, დაინიშნენ რექტორები (გაიოზი, დავითი), ითარგმნნ წიგნები და სხვ., — ერთი სიტყვით, წარმოიშვა ის, რასაც პატივცემული პროფესორი „ქართული ლიტერატურის ვერცხლის საუკუნეს“ უწოდებს. ასეთს მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს კულტურული ცხოვრება რუსეთთან შეერთების წინ, მახმად-ხანის შემოსევამდე, — და ალბათ მძიმეთ გაგვირისხებია შემოქმედი, თუ ამისთანა პირობებშიაც კი ჩვენმა მეფეებმა საკუთარი ძალ-ღონით ვეღარ

შედგეს სამშობლოს დაცვა და პატრონობა,—სიანს, ჩვენ-საჭიროთ ამოდრავებულან ყოველნი ძალნი ქვეშეთისანი, თუ კი ღვთისმშობლის და სვეტიცხოვლის მფარველობაც კი საკმაყო ველარ ყოფილა მისის წილხვედომილის ქვეყნისათვის!..

უგულითადესი მადლობის ღირსია მოღვაწე, რომელიც, მიუხედავად ჩვენი საზოგადოების გულგრილობისა და უმადურობის, მაინც არ ადგებს კალამს ხელიდან და, სულ 5 თუ 6 წლის განმავლობაში, 1000-გვერდიან სამეცნიერო შრომას სძღვნის სამშობლო ლიტერატურას, არ იტებს გულს აწმყო უმადურობით და სულგრძელებით სდებს პირობას კვლავ გადახედოს, შეასწოროს, შეავსოს და ერთი ახალი ტომი კიდევ შემატოს ამ გიგანტურს ნაყოფს თვისის მკერმეტყველურის კალმისას!..

სულის-სწრაფებით მოველით მე-IV წიგნის გამოსვლასაც!..

დრეებით ჩრდილოელი ს. გ.


1901 წელი. 22 მარტი.

ხმა ლეჩხუმის მაზრიდან.

განსვენებული ვოვლად სამღვდელო კაბრიელი რამდენს უსიამოვნებას და სავეედურს აცხადებდა სამღვდელოებას თვალთ-მაქცური, უსარგებლო და დამაზარალეულ—მიცვალებულთა გამოტირილის შესახებ, მაგრამ ამ სამწუხარო მოვლენას დღესაც დრმად აქვს მოკიდებული ფუსვი, განა შეუძლია გონიერს და გულშემატკივარ კაცს გულ-კრილად უცქიროს შემდგვ სურათს: აგერ მიცვალებული ასვენია, სახლი სახსეა ხალხით, რომელთაგან უმეტესი იცინის, ხუმრობს და მუსაიფობს. უცებ კიდებენ ხელს კაცს, რომელიც აგერ ხუმრობდა, ეს კაცი უეცრად სახეს იჭმუნის,

იჭუნება და ზარის სიმღერის ხმას აყოლებს რაღაც უძველანო სიტყვებს. ჭირისუფალსაც მოწუნელი აქვს ერთი კვირის განმავლობაში სულ ერთი და იგივე სიტყვების განმეორება, მაგრამ რა ჭქნას, მომტირალთ უნდა დახვდეს და შეატეოს ფორმისაებრ! რაიცა შეეხება უსარგებლო ხარჯებს და აუარებელ კაცის ცდენას და სხ. ეს ხომ ამკარაა და ვველამ იცის. ბევრი რამ დაბეჭდილა ამის შესახებ ჩვენს ხალხისთვის გულშემატკავარ ორგანოს «მწუქისის» ფურცლებზე, რომ მოსპობილიყო ესრეთი სახიზღარი და უსარგებლო ჩვეულება, მაგრამ არ იქნა და არა. დღეს მადლობა დმერთს, გაჩნდა ისეთი კაცი, როეელმანცა მისცა დაბოლოება და დასრულება ამ მავნე ჩვეულებას. დღეს, როგორც ეტეობა სწორედ ელება ბოლო ამ მავნე და უსარგებლო ჩვეულებას. ვველგან გესმინ: «მართლა მოუსპიათ ტირილი? ვაჰ ჩვენი ცოდვა, რაჟა ჯირკვიით ჩაკვადებენ მიწაში» და ზოგი კი მანისკებით ამბობს: «მის მეტი სამჯავრო ნუ მომცეს დმერთმა!» ამის მეტს შგონი არც შარმანწინ იტეოდენ რამეს ამხზე. და უკეთუ ჩვენ—სამღვდელოება თანამგრძნობელნი ვიქნებით ამ ბრძანებისა, ჰირველში ჩვენი ვალია გავტედეთ და ვაჩვენოთ მაგალითი მრევლს, როგორი მაგალითიც გვიჩვენა ახლა მღვდულმა მ. ანდრია გოლეითანმა.

წარსულ მარტის თვეში კარდაიცვალა სოფ. ნაკურალეშს (ლეჩხუმი), უეცარის სიკვდილით მღვდელი მ. დიანოზ გოლეითანი. განსვენებულს დარჩა შვილი შემოსხსენებული მღვდელი ანდრია გოლეითანი, რომელიც ჩავარდა ფიქრში და რევაში, თუ რა წესით



ქურნალ-გაჯიშვილიან.

სერბიის ახალი კონსტიტუცია.

I. ძირითადი უფლებები.

1) სერბიის სამეფო არის შემეგვიდრეობითი და კონსტიტუციონური მონარქია, რომელსაც აქვს ნაციონალური წარმომადგენლობა. 2) სარწმუნოება სერბიაში არის მართლ-მადიდებელი. ეკკლესია არის დამოუკიდებელი და თვით-მმართველი. 3) შეუძლებელია სახელმწიფოს ტერიტორიის ვისმესთვის დათმობა, გინდ განაწილებს.

II. მამულიშვილთა უფლებანი.

1) ყველა სერბიელები თანასწორნი არიან კანონის წინაშე. თავად-აზნაურული უპირატესობა არ არსებობს. 2) ზირადი თავისუფლება უზრუნველ-ყოფილია. არ შეიძლება არც შევიწროება მისი, არც მოსპობა, თუ არ სასამართლოს დადგენილებით. ვერავინ ვერავის ვერ ჩამოართმევს ჩვენებას, ვერც გაასამართლებს, კარდა ჯეროვანი სასამართლოსი. სასჯელის დადგენა შეუძლია მხოლოდ კანონს. განსაკუთრებული სამსჯავროები აღკრძალულია. 3) სიკვდილით დასჯა ზოლიტიკურ საქციელთათვის ისპობა, კარდა იმ შემთხვევისა, როცა სასისფილოთ გამოიმეტებენ ხელმწიფოს, ან და სამეფო გვარეულობის წევრთ. სერბიის არც ერთი მამულიშვილი არ განიძეება სამშობლოდან; 4) კერძო სადგომი ხელ-შეუხებელია; აგრეთვე საკუთრებაც. ქონების კანონის-კაცია (მთავრობის მიერ ჩამოართმევა) აღკრძალულია. 5) სინიდაისის თავისუფლება შეუზღუდველია. ცნობილი სარწმუნოებანი თავისუფალი არიან და სარგებლობენ კანონის მოვრეველობით. ზროზელიციზმი აღკრძალულია. 6) სასკოლო საქმე თავისუფალია. ზირველ დაწვებითი განათლება სავადლებულ და უფასოა. 7) ყოველ სერბიელს უფლება აქვს თავისი აზრი თავისუფლად გამოთქვას. მწერლობა თავისუფალია. ცენზურა აღკრძალულია. წერილების საიდუმლოება ხელ-შეუხებელია. 8) სერბიელთ უფლება აქვთ შეადგინონ საზოგადოებები და კავშირები. მხოლოდ ცის ქვეშ დიდი ურილობების მოსახდენათ სჭირდა სათანადო მთავრობის ნება-რთვა. 9) ყოველ სერბიელს უფლება აქვს უჩივდეს, ან და

დაესაფლავებია მამა. ახალი ბრძანების აღუსრულებლობისაც ეშინოდა და წინანდელი წესის დარღოვაზედ სოფლის და მტერ-მოუვრისაც რცხვენოდა; ასე რომ ორივე შემთხვევაში, ესე იგი, ძველი ჩვეულების დარღვევაში და ახალის მიღებაში ზირველი მაცალითი ის იქნებოდა. ბოლოს სოფლის საუვედური ამჯობინა და მესამე დღეს მოუწოდა მასლობელ მესობლებს, ნათესავეებს და რამოდენიმე ძღუდელს, განსვენეს მიცვალებული ეკკლესიაში, წირვის შემდეგ წესი აუკეს და დაასაფლავეს. შემდეგ მოსამარხეებს, გამსვენებლებს, - გულითადს მომტირალ-ნათესავეებს და ძღუდლებს სადილი მიართვეს და აი ამნაირად შესრულდა ის საქმე, თვინიერ დიდი ხარჯისა. სოფელმა ბევრი უსაუვედურა მამა ახდრიას, რად არ კვატირე მამა შენო, შენდობას შეუთვლიდით და ღვინოს თავს წაუსხამდითო!.. ასე ადვილად და წესიერად შესრულდა ეველაფერი. საუკუნოდ იუოს ხსენება ჩვენი თანამძის ძღუდლის დიანოზ კოლეტიანისა, რომელიც ეღირსა ჭემდარიტს ქრისტეიანულს განსვენებას და დასაფლავებას. დასასრულ, ღმერთმან ადღევრძელოს და აკურთხოს კონიერი მმართველობა იმერნთის ეპარქიისა—ჩვენი ახალი მწუქმით-მთავრისა, რომელმაც ზირველადვე მიაქცია ურადლება ამ უწესო ჩვეულების მოსპობას, რომლის აღსრულებით არა თუ სუსტდება მარტო ზნეობა და სარწმუნოება, არამედ იქცევა, ღარიბდება და იღუპება ოჯახები აუარებელი უსარკებლო ხარჯებისაგან.

მდ. ანტონ კოლეტიანი.

მითხროვს გამოცემა მთავრობის უკანონო მოქმედება-
თა წინააღმდეგ. უცხოეთის პოლიტიკურ დაშინაშავთა
გაცემა აღკრძალულია.

III. მეფე.

1) სახელმწიფოს მეთაური არის მეფე. მისი ვი-
როვნება—შეუხებელია. ის არის გამხარტვილებელი
უმაღლესი მთავრობის კონსტიტუციის თანახმად. მეფის
და სამეფო გვარეულობის წევრთა სარწმუნობა—მართლ-
მადიდებელია. 2) მეფე ამტკიცებს და აცხადებს კანონ-
ებს, ის ნიშნავს სახელმწიფო სამსახურისთვის მხე-
ლევებს. ის არის ჯარის მთავარ-სარდალი. ის უბოძებს
ორდენებს და ჩინებს. იმის უფლებაა სასჯელთა პტიცია
და ფულის მოჭრა. ის მოწვევს და დაშლის პარლამენტს;
ის არის სამეფოს წარმომადგენელი ყველა სა-
გარეო საქმეებში. ის აცხადებს ომს და შეკრავს პირ-
ბებს. ხოლო ყოველ იმ შემთხვევაში, როცა ამ პირ-
ბების ძალით ქვეყანას რაიმე ვალდებულება აწევს თავსე,
ან და რაიმე ტვლილებები ხდება ტერიტორიაში, ის
პირბები უნდა წარედგინოს პარლამენტთ განსახიფვე-
ლად. 3) სერბის მეფე არის ალექსანდრე I. ტახტის
მემკვიდრეები არიან მეფის პირდაპირი შთამომავალი
ვაჟები კანონიერი მეუღლეობისგან. თუ ვაჟები არ არი-
ან, მაშინ მემკვიდრეობა გადადის პირდაპირ მემკვიდრე
ქალებზე. არა პირდაპირ შთამომავალთ არა აქვთ ტახ-
ტის მემკვიდრეობის უფლება.


IV. სახალხო წარმომადგენლობა (პარლამენტები).

1) სასახლო წარმომადგენლობა იხატება ორ პალა-
ტში: სკუპრინა და სენატი. 2) სკუპრინას შეადგენს
136 დეპუტატი, რომელნიც ირჩევიან ოთხი წლით.
საარჩევნო ცენტრია—15 ფრანკი (პირდაპირი გადასახადი)
ყოველი ამომრჩეველისათვის, ხოლო 30 ფრანკი—ყო-
ველი ამომრჩეველისთვის. არჩევნები ხდება ფარულად
საარჩევნო ფურცლების შემწეობით. ყოველმა დეპარტა-
მენტმა (დეპარტამენტი 16) უნდა ამომრჩიოს შესაფერი
დეპუტატი, ესე იგი ისეთი, რომელსაც აქვს უნივერ-
სიტეტის დიპლომა. 3) სენატს შეადგენს 51 წევრი.
სენატში მონაწილეობას დებულობს ტახტის მემკვიდრე
ხმის უფლებით, თვრამეტი წლიდან დაწყებული. სენატ-
შივე მონაწილეობენ ბელგრადის არხიპისკოპოსი, სერ-
ბიის პატრიარქი და მესამე ადგილს ნიშის ეპის-
კოპოსი. 30 წევრს ნიშნავს მეფე, 18-ს კი ირჩევენ
ხალხი ფარული კენჭის ერთი სამი წლის ვადით. ამ
წევრთა ნახევარი ყოველ სამი წლის ბოლოს იცვლება.

სენატრობის უფლებისთვის საჭიროა ცენტრალ—46
ფრანკი, ხოლო მათი ამომრჩეველობისთვის საჭიროა
ცენტრალ 500 ფრანკამდე. 4) სასამ მეფე დამტკიცებდეს,
ყოველი კანონი უნდა მიიღოს ორივე პალატამ. თუ
პალატები ვერ შეთანხმდენ, მაშინ კანონ-პროექტი მიმ-
დინარე წელს ადარ ირჩევა. სკუპრინას საბოლოოდ ამტ-
კიცებს ბიულეტეს სენატის მიერ წარმოდგენილ შენიშვნე-
ბის შემდეგ.

V. მინისტრები.

მინისტრები პასუხის მტებუნია არიან პარლამენტის
წინაშე. შესაძლოა მათი სამართალში მიცემა.



ახალი ამბები და შენიშვნები.

„ივერიაში“ ვკითხულობთ შემდეგ საყურად-
ღებო ამბავს: „როგორც ვკითხველებმა უწყიან,
ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობა ეძებს
ტფილისის განაპირა უბნებში მოხერხებულს ადგილს
სემინარიის შენობის ასაგებად. ამას წინაღ არჩეული
ადგილი ვერახედ მოუხერხებლად უცვნია მთავრო-
ბას. განზრახვა აქვთ, თუ ტფილისში ვერ იპოვენს
შესაფერი ადგილი, სემინარია გადაიტანონ მცხეთა-
ში, სადაც მკურნალი პროზოროვსკი უთმობს 10
დესიატინა მიწას სემინარიის შენობის ასაგებად».
ეს ბოლო მოსდევს ყოველთვის იმისთანა პირები-
საგან უცებ არჩეულ ადგილს, რომლებმაც ადგი-
ლობითი პირობანი არ იციან. თუ ვერა არ ვარვა
სემინარიისათვის, საფიხნია როგორილა უნდა იყოს?
მცხეთა და სხვა მოშორებული ადგილი კარგი იქ-
ნება მოსწავლეებისათვის, მაგრამ მასწავლებლებმა
და მათმა ოჯახობამ სადლა უნდა გაატარონ დრო?!.
ზოგიერთებს შეუძლებლად მიაჩნიათ სასწავლებლის
ქალაქზე დაშორებით დაარსება და ამერიკაში კი,
ეს მიუცილებელ საჭიროებათ მიაჩნიათ...

* * *

ამავე გაზეთში ვკითხულობთ:
„ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი აცხა-
დებს: „რკინის გზის მკურნალებმა აღმოაჩინეს, რომ
ამ გზის ბევრი მოსამსახურე ყოფილა ავადმყოფი,

რაიცა მათ სამსახურში მიღების დროს შემოწმებამ ვერ შენიშნა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება სამსახურის მსურველნი შემოწმებისათვის თავის მაგივრად სხვას ვისმე ჯანმრთელს გზავნიდნენ. ამის გამო საჭიროა შემდეგი წესრიგი იქმნას შემოდებული: სამსახურის მსურველნი ვალდებული არიან გამოცხადდნენ მკურნალთა კომისიაში თავის ფოტოგრაფიულ სურათებით, რომლებზედაც უნდა იყოს წარწერილი ახლად მიღებულ მოსამსახურის სახელი და გვარი, და ეს სურათი უნდა მიეკრას შემოწმებულთა სასანიტარო სურათებს. თუ შეუძლებელ იქმნა ფოტოგრაფიულის სურათის დაუყოვნებლივ წარდგენა, იმ შემთხვევაში უეჭველად უნდა იყოს რკინის გზის სამსახურის წარმომადგენელი, რომელიც იცნობს ახლად მიღებულს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი ტომის ხალხნი შემოწმების დროს უფრო მეტი აღმოჩნდებიან სწულნი...

* *

მათმა მეუფებამ, იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ დაათვალიერა ხონის საბლალოჩინო მაზრის ეკლესიები. ყოველ მრევლში მრავალი ხალხი ეგებება მათ მეუფებას, მაგრამ ხონის ეკლესიაში მიბრძანების დროს კაცი იფიქრებდა, რომ მთელ მაზრის ხალხს აქ მოუყრია თავიო. მათი მეუფება ძლიერ კმაყოფილი დარჩა საზოგადოებით, მაგრამ საზოგადოება უმეტესად კმაყოფილია მათი მეუფების მოსწრებული და მშვენიერი სიტყვით, რომელსაც ჩვენ შემდეგ ნომრებში დავბეჭდავთ.

* *

ქუთაისის ქალაქის საბჭომ როგორც იქნა მონახა თავი. 30 აპრილს აირჩიეს ქალაქის თავად ქუთაისში მცხოვრები ნაფიცი ვეკილი, აზნაური დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძე, რომელსაც ამომრჩევი ხმა ამოუვიდა 38. სხვამ არავინ იყარა კენჭი.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

- კითხ. „დიდება მაღალიანის“ გალობაზე ანუ კითხვაზე სამეუფეო კარები გაღებული უნდა იყოს თუ არა?
- მიგ. როცა მღვდელი იტყვის: „დიდება შენდა რომელმან მოგვეფინე ნათელი“, სამეუფეო კარები გაღებული უნდა იყოს შაბათს და დღესასწაულ დღეებში ღამის თევის და ცისკრის აღსრულების დროს.
- კითხ. შეიძლება თუ არა მღვდელმა დაუკაეოს თავისი წილი მედავითნეს, რომელიც არ დაიარება ეკლესიაზე ორ-სამ კვირაგობით და არ დაესწრება სოფელში მღვდელ-მოქმედების აღსრულებას?
- მიგ. წილის დაკავება მღვდლისაგან იქნება წინააღმდეგი მოქმედება. მღვდელმა ამისთანა დაუღვეწელობა უნდა მოახსენოს ადგილობრივი ბლალოჩინს და ითხოვოს, რომ ან მან მიაქციოს ყურადღება და ან ეპარქიის მთავრობას მოახსენოს ამისთანა დაუღვეწელობა მედავითნისა და კანონისამებრ სულ დაითხოვენ ამისთანა ზარმაც მედავითნეს.
- კითხ. საჭიროა თუ არა მკერდის ჯვარზე, რომელსაც სინოდი უბოძებს მღვდელს ჯილდოდ, შეასრულონ წესი კურთხევისა?
- მიგ. მოხსენებული არსად არის, რომ სინოდში მათზე სრულდებოდეს წესი კურთხევისა და ამისათვის შეიძლება შეასრულონ წესი ჯვრის კურთხევისა, რომელსაც ტიბიკონი უჩვენებს კურთხევანში.
- კითხ. უმართებელესი სენატის კასაციურ გარდაწყვეტილებებში მოხსენებულია, რომ მღვდელთა და ბერ-მონაზონთა დაბარება აკრძალუ-

ლია სასამართლოებში მოწმეთა და ან მომჩივან-მოპასუხეთ იმისთანა დღეებში, როცა იგინი ვალდებულნი არიან თავიანთ ეკლესიებში მღვდელ-მოქმედება შეასრულონ. პირველ დიდ მარხვის და ვნების კვირიაკეებში სრულებით თავისუფალნი არ არიან. შეიძლება თუ არა ამ კვირიაკეებში, მომრიგებელმა მსაჯულმა იგინი დაიბაროს მოწმეების დასაფიცებლად?

მიგ. ზემო აღნიშნულ დღეებში მღვდლებისა და ბერ-მონაზონთა დაბარება მოწამების დასაფიცებლად არ შეიძლება. ხსენებულ დღეებში ყველანი თავისუფალნი არიან სასამართლოში დაბარებისაგან.

კითხ. ვალდებულია მღვდელი ყოველ კვირა დღეს წარმოსთქვას პარაკლისის გარდაუხდელად, ჩამოლოცვის შემდეგ წირვის დასრულებისას მრავალ ჟამიერობით მოხსენება მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის, უწმიდესი სინოდისა და ადგილობრითი მღვდელ-მთავრის სახელობაზე?

მიგ. მრავალ ჟამიერობითი მოხსენება მეფის და სინოდისა ადგილობრითი მღვდელ-მთავრითურთ, ტიბიკონი უჩენს პარაკლისის გარდახდის შემდეგ და არა ყოველ ჩამოლოცვის დროს. თუ ამას ასრულებს ვინმე, ალბათ მას ტიბიკონი არა სცოდნია-

კითხ. შეუძლია თუ არა მღვდელს, თავის შვილზე გვირგვინის კურთხევა შეასრულოს?

მიგ. შეუძლია თუ სხვა მღვდელი არ იმყოფება.

კითხ. ვინ უნდა შეასრულოს გვირგვინის კურთხევა მღვდლის შვილზე, მედავითნის შვილზე ან თვითონ მედავითნეზე?

მიგ. იმ მღვდელმა, რომლის სამრევლოსაც ეკუთვნის სასძლო.

კითხ. თომას კვირიაკიდან ამალღებამდისინ მღვდელს კმევის დროს ჯვარი და თანაარსის სანთელი მარცხენა ხელში უნდა ეკავოს თუ არა?

მიგ. ამას ტიბიკონი არ უჩენს და რასაც ტიბიკონი არ უჩენს, ის უწესო მოქმედებაა.

კითხ. მედავითნის ოჯახში გარდაცვალებულზე ვინ უნდა აღასრულოს ქრისტიანული წესები?

მიგ. იმ მრევლის მღვდელმა, რომელთანაც მსახურებს მედავითნე.

კითხ. დღემდის გერბის მარკებს ოთხ-აბაზიანს ვხმარობდით და ეხლა ამბობენ სამ აბაზიანი უნდა იხმარონო. შეიძლება თუ არა, სანამ მთავრობა გამოაცხადებდეს ახალი მარკების ხმარებას, მანობამდისინ ისევ ძველი—ოთხ-აბაზიანი მარკები ვიხმაროთ?

მიგ. მთავრობამ დიდი ხანია გამოაცხადა ახალი გერბის მარკების ფასი და მათი ხმარების წესდებულება. წაიკითხეთ „საეკლესიო უწყებაში“ ეს განცხადება.

კითხ. შეიძლება თუ არა, მარხულობა და ზიარება პეტრეპავლობის მარხვაში?

მიგ. მარხულობა და მომზადებით ზიარება, ყოველ დროს შეიძლება, არამც თუ მარტო მარხვაში.

კითხ. შეიძლება თუ არა, ორი მედავითნის განწესება მრევლის ეკლესიაზე იქ, სადაც რიცხვი მრევლისა ას-სამოცი კომლია?

მიგ. იმერეთის ეპარქიაში მრავალს ადგილას ორი მედავითნენი არიან განწესებულნი იმისთანა ეკლესიების მრევლში, სადაც უმაღლესად დამტკიცებულ შტატის წყობილებით, ერთი მედავითნის ადგილის მეტი არ არის. უნდა შეიტყო შტატის წყობილებით, რამდენი ადგილია მედავითნის ერთი თუ ორი. შტატის წყობილებით თუ ერთი მედავითნის ადგილია, მეორე მედავითნის განწესება არ შეიძლება.

კითხ. ვისი განკარგულებით არის და სავალდებულოა თუ არა, ახალი გამოცხადებული „ტაქსა“ გვირგვინის კურთხევის, გარდაცვალებულის დამარხვის და საწირავისა?

მიგ. ეს „ტაქსა“ შეეხება საქართველოს სამღვდლოებას და დადგენილია სინოდალნი კანტორისაგან მხოლოდ მათთვის. იმერეთის ეპარქიაში არსებობს სრულებით სხვა „ტაქსა“ და ჩვენის აზრით, ეს „ტაქსა“ უნდა იყოს მოქმედებაში და არა ის, რომელიც არსებობს ქართლ-კახეთის ეპარქიაში.



მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ
კვირულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსი“-ზე

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქურნალის ფასი:

- | | |
|--------------------------|--------------------------|
| 12 პეით «მწყემსი» 3 მ. | 6 თეით «მწყემსი» 2 მ. |
| — ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ. |
| — ,, ორივე გამოცემა 5 მ. | — ,, ორივე გამოცემა 3 მ. |

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეირაღაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მალაზაში, ბ. შიო ქუჩაზე შეიძლება. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროეთან; საჩხერეში—ყარაღან ჩაიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხაბუაშვილთან; ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიანი შეიძლება.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზიტები და ეთნოგრაფიკული მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში დეისაძის სახლებში და ვეირაღაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ პრემიად (საჩუქრად) აქვსთ დანიშნული დიდი სუკათი ყოვლად სამღვდელთა ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედმეტ ხარჯად ორი შაური. ამ პრემიის გასაგზავნი.

ამჟამო საავთმყოფო აგზულატორითურთ ს. ბ. თოფურისს.

ქ. ქუთაისში.

სავთმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავთმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადაძდები სენით ავთმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავთმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავთმყოფების მიიღებს მ. ს. ბ. თოფურია.

ქირურგიურ შარდით სიფილისით და თვალების ავთმყოფობისათვის. მ. შ. კ. გმრახტი.

დედაკაცურ ავთმყოფთა და საბებიო ქალი. მ. შ. ვ. კოგანი.

რჩევა დარბევების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა სავთმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ანკრაციის ფასი გარბევასზე. სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: მწარე ფიქრები, სოფლის ხუცისა.—ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.—ჩუნეშის საბლადოჩინო მახრის ეკლესიების და სამღვდელთა დათვალეობა მათი მეუფ. იმერეთის ეპისკ. ლეონიდისაგან 13—21 აპრილს 1901 წ.—ბიბლიოგრაფია, დროებით ჩრდილოელი ს. გ.-სა.—ხმა ლეჩხუმის მაზრიდან, მღვ. ან. გოლეითანისა.—ქურნალ-გაზეთებიდან, (სერბიის ახალი კონსტიტუცია). ახალი ამბები და შენიშვნები.

საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: საეკვო კითხვების განმარტება.—განცხადება.